K 2206
1a

Ուսումնական գրադարան

К 22006
1а

ისლამის წარმოშობა

(თავი „ანტირელიგიური სახელმძღვანელო“-დან)

საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭო
1937 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ე. ბოლშევიკი

ისლამის ნარმოშობა

(თავი „ანტირელიგიური სახელმძღვანელოდ“-დან)

ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა

საქართველოს მუშის ცენტრალური საბჭო

1937 წ.

ისლამის წარმოშობის ადგილი და დრო

ისლამი მსოფლიოს ერთერთი უაღრესად გავრცელებული რელიგიაა. იგი უმთავრესად გავრცელებულია არაბეთის სახელმწიფოებში, სირიაში, ეგვიპტეში, ჩრდილო და ცენტრალურ აფრიკაში, თურქეთში, ირანში, ავღანისტანში, ინდოეთში, ინდონეზიაში, ჩინეთში (იუნანის, განსუს და სინძიანის პროვინციებში) და საბჭოთა კავშირში.

ისლამი იყოფა მთელ რიგ მიმართულებებად, სექტებად და მოძღვრებებად. ყველა მიმართულების, მოძღვრებისა და სექტის მიმდევარნი თავის თავს მუსლიმანებს უწოდებენ.

ისლამი წარმოიშვა არაბეთში ქრისტიანული წელთაღრიცხვის VI საუკუნის დამლვეს და VII საუკუნის პირველ ნახევარში.

2 ისლამის წარმოშობის მიზეზები

ისლამის წარმოშობის დროისათვის არაბთა პოლიტიკური ცენტრალიზაციის იდეები დიდად ვრცელდება. ეს იდეები განსაკუთრებით მკვეთრად აშკარავდება არაბეთის უდიდეს ეკონომიურ და ნაწილობრივ პოლიტიკურ ცენტრში, სავაჭრო ქალაქ მექაში (ხიჯანი). მექაში გაბატონებული კურეიშიტების ტომი ისწრაფვის დაიმორ-

ჩილოს არაბთა მეზობელი ტომები. და ამ მისწრაფებაში მექის კურეიშიტები წარმატებას აღწევენ.

არაბეთში იროვევოდა გვაროვნული ერთიერთობანი. მკვეთრი კლასობრივი დიფერენციაცია მოხდა ბინადარ არაბებს შორის. შეძლებული და მოვაჭრე ზედაფენის გვერდით გაჩნდა მრავალი ღარიბი; წარჩინებულნი და ღარიბნი გაჩნდნენ მომთაბარე ბედუინებს შორისაც.

მექასა და სხვა სავაჭრო ცენტრებში არსებობდა მონებით ვაჭრობა და ძლიერ განვითარდა მევახშეობა.

ნაციონალური თვითშეგნების გაღვიძებას მოწმობდნენ არაბთა საომარი მოქმედებანი, მიმართულნი უცხოელთა-ეთიოპთა (აბისინელთა), სპარსთა და სხვათა ბატონობის წინააღმდეგ.

არაბები „რელიგიური მხრითაც დიდად დაქსაქსული იყვნენ; მათი რელიგია წარმოადგენდა ბუნების კულტის ნაშთებისა და იუდაიზმის და ქრისტიანობის ოღვევის ელემენტების ნარევს“.[1]

არაბთა ტომებს შორის გავრცელებულმა ქრისტიანობამ, იუდაიზმმა და სხვა რელიგიურმა კულტებმა არაბეთში შეიტანეს ერთღმერთობის იდეები. ამ იდეების მიღებას არაბეთში ხელს უწყობდა არაბთა გვარებისა და ტომების ცენტრალიზაციის პროცესი: მან იდეოლოგიური გამოხატულება ჰპოვა ერთღმერთობაში, გვაროვნული და ტომობრივი რელიგიური კულტების ცენტრალიზაციაში. არაბთა ყველაზე ძლიერი ტომების ტომობრივმა ტაძრებმა თანდათანობით დაიკავეს პირველი ადგილი. ასე, მაგალითად, დასავლეთ არაბეთისათვის (ხიჯაზის ოლქი) განსაკუთრებული ადგილი დაიკავა კურეიშიტების ტომის ტაძარმა მექაში — ქა' ბამ, „ღვთის

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. XXI, გვ. 495

სახლმა“. კურეიშიტების ტომობრივმა ღმერთმა ალაჰმა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა მექისაგან დამოკიდებულ. არაბთა ტომების ღმერთებს შორის. ამ ტომების ღმერთები გამოცხადებულ იქნენ მხოლოდ ალაჰის შვილებად. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა: მალე ალაჰი გახდა ერთადერთ, „ჰეშმარიტ“ ღვთაებად.

ამ ახალი კულტების მქადაგებლად გამოვიდნენ „წინასწარმეტყველები“, რომელთა შესახებ ცნობებმა ჩვენამდე დამახინჯებული სახით მიაღწიეს.

დასავლეთ არაბეთში VII საუკუნის მეორე მეოთხედში შეიქმნა არაბთა ხიჯაზის ტომების დიდი გაერთიანება, რომლის ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი მედინა. ამ ახალი სახელმწიფოებრივი ერთეულის სათავეში მოექცა **ხანიფთა** პარტია. იბრძოდნენ რა გვაროვნული საფუძვლების წინააღმდეგ, ხანიფები ილაშქრებდნენ გვაროვნული რელიგიების — მრავალღმერთობის კულტების წინააღმდეგაც. ამ კულტების ნაცვლად ხანიფები, რომლებიც ქრისტიანობისა და იუდაიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, ჰქადაგებდნენ ერთი ღმერთის — ალაჰის კულტს.

ხანიფების ერთი ღმერთისადმი მორჩილება, „თავის დადება“ (არაბული „ისლამი“) გახდა ახალი რელიგიის პოლიტიკურ მოთხოვნად. აქედან ამ რელიგიური მოძღვრების მიმდევრები, რომელთაც დასდეს ღმერთ ალაჰისადმი მორჩილების, თავდადებული აღთქმა, იწოდებიან „თავდადებულებად“ — „მუსლიმებად“, ანუ მუსლიმანებად.

რაიმე გარკვეული, დეტალურად დამუშავებული რელიგიური მოძღვრება ისლამს პირველი მუსლიმანური საზოგადოების მოწყობისას მედინაში, VII საუკუნის მეორე მეოთხედის დასაწყისში, ჯერ კიდევ არ ჰქონია,

ისლამის დოგმატები და საკულტო წესები მნიშვნელოვნად უფრო გვიან დამუშავდა.

დასავლეთ არაბეთში ისლამის დამკვიდრების დროდ ითვლება მედინის მუსლიმანთა საზოგადოების წინაშე ქალაქ მექის მცხოვრებთა მეთაურობით სხვადასხვა ტომების კაპიტულაციის მომენტი. ეს მოხდა 630 წელს.

არაბთა ტომების გაერთიანებას მოჰყვა ფეოდალურ-თეოკრატიული მმართველობა ხალიფატის სახით, ე. ი. ხალიფის ხელში მოქცეული იყო სასულიერო და სამოქალაქო ძალაუფლება. ხოლო იმისთვის, რომ ხალხი ხალიფების მორჩილი ყოფილიყო, მათი ექსპლოატატორულ-ფეოდალური ძალაუფლება გამოცხადებულ იქნა ღვთაებრივ ძალაუფლებად, თვითონ ისინი კი — ჩამოშავლებად ან მოადგილეებად მაჰმადისა, რომელიც მუსლიმანური ეკლესიის მოძღვრებით აღიარებულია ალაჰის მოციქულად.

ყურანი

ყურანი (საკუთრივ ყურ'ანი — „წაკითხვა") მუსლიმანების მიერ ითვლება წმინდა წიგნად, როგორც ბიბლია იუდაიზმში, სახარება ქრისტიანობაში. ყურანს ეყრდნობა მუსლიმანური კანონმდებლობა (შარიათი) და ნაწილობრივ საადათო სამართალი (ადათი).

ყურანი სდგებოდა თანდათანობით, როგორც სჩანს, მედინაში პირველი მუსლიმანური საზოგადოების მოწყობის დროიდან. ხალიფ ოსმანის დროს (644 — 656 წწ.) დადგენილ იქნა მისი საბოლოო ტექსტი.

იმავე ხანებში ხელისუფლების სათავეში მყოფ ფეოდალთა ინტერესებისათვის მოსპობილ იქნა ყურანის სხვა სიები. მათი მონახვა შეუძლებელი გახდა, თუმცა არის ცნობები, რომ სიები ტექსტით, რომელიც ყურანის ოფი-

ციალურ შინაარს ეწინააღმდეგება, არსებობდა ჯერ კიდევ IX — X საუკუნეებში.

თავდაპირველად ყურანს უმთავრესად სამოსამართლო-უფლებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. სხვა წყაროებთან ერთად ამას თვითონ ყურანიც მოწმობს.

ყურანი მრავალ წინააღმდეგობას შეიცავს და, მიუხედავად თავისი სამოძღვრებო ხასიათისა, სრულიადაც არ არის მკაფიოდ გადმოცემული. ყურანის მე-114 თავებში არ არის არც აზრობრივი და არც ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, არც თხრობითი ერთიანობაა.

ყურანის შინაარსში ბევრი რამ არის ისლამის მიერ ნასესხები იუდაიზმიდან, ქრისტიანობიდან, პარსიზმიდან (ძველი ირანელების რელიგია) და სამხრეთ-არაბეთის კულტებიდან. მაგალითად, ყურანში შეტანილია ბიბლიის თითქმის მთელი მოძღვრება წინასწარმეტყველებზე; მოთხრობას მუსეზე (მოსეზე), იუსუფზე (მშვენიერ იოსებზე) და სხვ. აქ ბევრ ათეული სურა, ზოგჯერ კი მთელი თავებიც უკავია.

მუსლიმანთა სასულიერო პირებმა ყურანი გამოაცხადა „ალაჰის სიტყვად“ და უცდომელად.

ყურანი აცხადებს, რომ ექსპლოატატორული საზოგადოება არის ალაჰის ღვთაებრივი განწესებაო. უთანასწორობა და ექსპლოატაცია ალაჰმა დააწესაო: „ამ ქვეყნად არსებობას ჩვენ ვაძლევთ მათ; ერთმანერთის უმაღლეს ჩვენ ავწევთ მათ ისე, რომ ზოგიერთებს სხვები მოსამსახურეებად აჰყავსთ“. (თავი XLIII, მუხ. 31).

„მორწმუნენო! — ამბობს ყურანი, მიმართავს რა უქონელთ, — ღმერთს დაემორჩილეთ, მოციქულს დაემორჩილეთ და თქვენს შორის იმათაც, რომელთაც ხელთ უფლება აქვთ“ (თავი IV, მუხ. 62).

ყურანი აფრთხილებს უქონელთ, რომ ისინი არ შეეცადონ შესცვალონ თავისი მძიმე მდგომარეობა. ყურანი აცხადებს, რომ ექსპლოატატორების მიერ მშრომელთა ჩაგვრა ადამიანთა საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა.

გაჭირვებას, სიღარიბეს, კლასობრივ ჩაგვრას ყურანი სიკეთედ აცხადებს. იმათ, ვინც მორჩილად იტანს ექსპლოატაციისაგან მიყენებულ ჩაგვრას, ყურანი „დიდ ჯილდოს“ ჰპირდება (თავი XI, მუხ. 13 — 14), ოღონდ... სიკვდილის შემდეგ.

გასაკვირალი არ არის, რომ ექსპლოატატორული კლასები მხარს უჭერდნენ და მხარს უჭერენ ამ მოძღვრებას.

მოძღვრება სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ.

არც ერთ საკითხს ყურანში ისეთი ყურადღება არ აქვს დათმობილი, როგორც „საიქიო“ ცხოვრების აწერას. ყველაფერი, რაზედაც უნდა ლაპარაკობდეს ყურანი, გაშოიხატება მსჯელობაში იმაზე, თუ რა ნეტარებაში იქნებიან სიკვდილის შემდეგ ისინი, ვინც ამ ქვეყნად იტანჯება.

წარმტაცი ფერადებით ხატავს ყურანი სამოთხეს. ყურანის ავტორები, არაბები, სამოთხიდან აძევებენ ყველაფერს, რაც მათ არ მოსწონთ რეალურ ცხოვრებაში, ამ ქვეყნად. არაბეთში, მაგალითად, ადამიანს აწუხებს მზე და სიცხე, ტენიანობის ნაკლებობა, ამიტომ ყურანი მორწმუნეთ ჰპირდება, რომ სამოთხე ემსგავსება გრილ ჩრდილიან ბაღს.

„მათი (სამოთხეში შესულ ადამიანთა) საფასურად

ღმერთმა მათ მიანიჭათ სამოთხე და აბრეშუმის შესამოსელი. სადაც დასაჯდომებზე მსხდომარეთ ვერც ქზის სიმცხუნვარე განიცადონ, ვერც სუსხიანი სიცივე. ახლო ხეებმა ჩერო მიაყენონ, ხოლო მათმა ნაყოფმა დაბლა დაიწიოს, რათა გაუჭირვებლად მოიკრიფოს. მათის გულისთვის დაატრიალონ ვერცხლის ლარნაკები (ვაჭები) და აზარფეშები, თითქო ტოლჩები, ვერცხლის ტოლჩები, რომელიც უწყებელ ზომამდე აავსონ. მათ დაალევინონ ზენჯებილ ნარევი სავსე ფიალებითა, (თავი LXXVI, მუხ. 12—19). და კიდევ: „იქვე დიდშავთვალა მზეთუნახავები ეყოლოთ, ზრუნვით მოვლილ მარგალიტთა მსგავსი მზეთუნახავები. მათი ნაღვაწის სასყიდელი ასეთი იქნეს“... (თავი LVI, მუხ. 22—23).

ყურანი ყოველივე ამას ჰპირდებოდა მორწმუნეთ ამ ქვეყნად მოთმინებისა და მორჩილებისათვის.

ზღაპრები მუსლიმანური სამოთხის მშვენიერებაზე (ისე, როგორც ზღაპრები ქრისტიანთა და იუდეველთა სამოთხეზე) მუდამ წარმოადგენდა ექსპლოატატორთა კლასობრივი ბატონობის იარაღს, მშრომელების ყურმოჭრილ მონებად გადაქცევის საშუალებას.

ამასვე ემსახურება ზღაპარიც მუსლიმანური ჯიჯოხეთის საშინელებებზე.

დიდი რეაქციული როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში ყურანის მოძღვრებამაც „ურჯულოთა“ წინააღმდეგ ყველა მუსლიმანის გაერთიანების აუცილებლობაზე, „საღვთო ომზე სარწმუნოებისათვის“, ქალის მონურ დანიშნულებაზე, აგრეთვე ანტიმეცნიერულმა წარმოდგენამ სამყაროს, მიწის, ცხოველებისა და ადამიანის წარმოშობასა და აგებულებაზე.

არამეცნიერული წარმოდგენა სამყაროს წარმოშობაზე.

ყურანის მოძღვრება სამყაროს, მიწის, ცხოველებისა და ადამიანის წარმოშობაზე უაღრესად ანტიმეცნიერულია. ყურანით, ყველაფერი ალაჰმა შექმნა.

მიწის შექმნამდე ალაჰი, ერთი მუსლიმანური ლეგენდის თანახმად, იყო „გაცისკროვნებულ თევზზე, რომელიც სინათლეში დაცურავდა". ყურანითვე, მაშინ, როცა ღმერთი ქმნიდა „ცასა და ქვეყანას ექვსი დღის განმავლობაში... მისი ტახტი წყალზე დამყარებულ იყო" (თავი XI, მუხ. 9).

ღმერთის მიერ სამყაროსა და მიწის შექმნა ყურანში წარმოდგენილია როგორც მძიმე მუშაობა. ალაჰი, მოგვითხრობს ყურანი: „წავიდა და დაიმყარა ზეცას... და ხმა უყო ცასა და დედამიწას... მაშინ ზეცა შვიდ ცად გადაკეთდა ორის დღის განმავლობაში. თვითეულსავე ცას თავისი საქმე მიუჩინა" (თავი. XLI მუხ. 10 — 11). ღმერთმა „დაამყარა მტკიცედ დედამიწა, გაიყვანა მის გულში მდინარეები, დააფუძნა მთები, აღმართა ორ ზღვას შუა ზღუდი" (თავი XXVII, მუხ. 62). და არა მარტო მიწა შექმნა ღმერთმა, არამედ აგრეთვე გაანაწილა მის სიმდიდრეთა დანიშნულება. ამასთან ღმერთი განსაკუთრებით ძლიერ ზრუნავდა ვაჭრების ინტერესებზე.

ყურანის მოთხრობა სამყაროსა და მიწის წარმოშობაზე მოწმობს იმას, რომ მისი ავტორების ცოდნა მეტად შეზღუდული იყო. ისინი იცნობდნენ დედამიწის ზედაპირის მხოლოდ პატარა ნაკვეთს — არაბეთს და მის ზოგიერთ მეზობელ ქვეყანას. და მათაც ძალიან ზერელედ იცნობდნენ.

ყურანის ავტორებს არც ბიოლოგიისა და ზოოლოგიის დარგში აქვთ უფრო ღრმა ცოდნა. ყურანში ჩვენ ამის შესახებ ვპოულობთ მხოლოდ ზღაპრულ გადმოცემებს და ბიბლიაში მოთხრობილ მითების გამეორებას. „ღმერთმა — ნათქვამია ყურანში — ყველა ცხოველი შექმნა წყლისაგან“ (თავი XXIV, მუხ. 44). ადამიანის წარმოშობაზე ყურანში არის ერთიმეორის საწინააღმდეგო მოთხრობანი. ღმერთი ადამიანს საკუთარი ხელით ქმნიდა ხან მიწისაგან, ხან თიხისაგან, ხან კიდევ თიხის არსისგან, ხან თიხისაგან, რომელიც იყო ხმელი, „წკრიალა“, ხან პირიქით, წებოვანი, ნედლი თიხისაგან, ან აყროლებული, სათუნე თიხისაგან და, კიდევ, ბოლოს, წყლისაგან.

ადამის ცოლი ალაჰმა ადამისგანვე შექმნა. მაგრამ ეს მან მოიმოქმედა არა საკუთარი ხელით, როგორც ამას ბიბლია გვასწავლის, არამედ ჯიბრაილს (მთავარანგელოზ გაბრიელს) დაავალა, რომელმაც „ტკბილი ძილის“ დროს ადამს გამოაცალა ნეკნი და შექმნა მისგან ქალი. ყველა ეს ზღაპარი ნასესხებია ბიბლიიდან და მცირე გადაკეთებით შევიდა ყურანში.

ცოლები უნდა იყონ თავისი ქმრების მორჩილნი, „ურჩთ კი, — ასწავლის ყურანი, — სცემეთო“ (თავი IV, მუხ. 53).

ყურანის ეს კანონმდებლობა ქალის შესახებ ხელს უწყობდა აღმოსავლეთის ქალთა დამონებას.

ისლამის მარხვანი და დღესასწაულნი

„ისლამმა, — ამბობს ენგელსი — შეინარჩუნა რა თავისი სპეციფიკური აღმოსავლური წესები, მით თავისი გავრცელების სფერო განსაზღვრა აღმოსავლეთით და

ჩრდილო აფრიკით, რომელიც დაპყრობილ და კვლავ დასახლებულ იქნა არაბი ბედუინების მიერ. აქ მას შეეძლო გამხდარიყო გაბატონებულ რელიგიად, მაგრამ დასავლეთში არ შეეძლო“ [1].

ისლამის მოძღვრების თანახმად, თვითეულმა მუსლიმანმა უნდა აღიაროს ერთი ღმერთის არსებობა, იწამოს მაჰმადის მოციქულობა და სხვა წინასწარმეტყველთა მისიის ღვთაებრივობა, იწამოს ანგელოზები და ეშმაკები, ყურანის მარადიულობა, სამოთხე და ჯოჯოხეთი, მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგომა. მუსლიმანმა დღე-ღამეში ხუთჯერ უნდა ილოცოს, შეინახოს მარხვა და სიცოცხლეში თუნდაც ერთხელ მოილოცოს მექა.

ისლამის ამ წესების უმეტესობა ნასესხებია ძველი, ისლამის წინადროინდელი რელიგიებიდან. მაგალითად, ჩვეულება დღეში ხუთჯერ ლოცვის შესახებ ნასესხებია ძველ ირანელთა რელიგიიდან, რამადანის (ანუ რამაზანის) თვის ოცდაათი დღის მუსლიმანური მარხვა ისლამში გადავიდა ისლამის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე არაბეთში გავრცელებული რელიგიებიდან. ოცდაათი დღის ამ მარხვის განმავლობაში მუსლიმანი, რელიგიის ბრძანების თანახმად, მუდამ უნდა ფიქრობდეს ალაჰზე, დილიდან საღამომდე არაფერს სჭამდეს, თამბაქოს არ სწევდეს, არ ბანაობდეს. ყურბან-ბაირამი (მსხვერპლშეწირვის დღესასწაული) და მასთან დაკავშირებული მოლოცვა მექაში არსებობდა ჯერ კიდევ ისლამის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე დასავლეთ არაბეთის მთელ რიგ ტომებში (ხიჯაზი).

ისლამის წინადროინდელ მექაში იყო წმინდა ადგილი ქა'ბა, რომლის კულტიც განსაკუთრებით ამაღლდა

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XV, გვ. 609

არაბთა ტომების ცენტრალიზაციის დაწყებასთან დაკავშირებით. ქა'ბას მოსალოცად მიდიოდნენ არაბები, რომლებიც პოლიტიკურად და ეკონომიურად დაკავშირებული იყვნენ მექელებთან. მივიდოდნენ რა მექაში და შეასრულებდნენ რა მის მიდამოებში და ქა'ბასთან მსხვერპლშეწირვის მთელ რიგ წესებს, არაბები სთხოვდნენ თავის ღმერთებს, რომ მათ უზრუნველეყოთ მათი ჯოგების კარგი მომრავლება, მოეცათ პურისა და ფინიკის ნაყოვის კარგი მოსავალი. ეს ჩვეულებები დარჩა ისლამშიც, მაგრამ აქ მათ სხვა ახსნა მიეცა. ამისათვის გამოყენებულია ბიბლიის ზღაპარი იმის შესახებ, რომ აბრაამმა თავისი შვილი ისაკი მსხვერპლად შესწირა ღმერთს.

ისლამის მოძღვრებით, ყურბან-ბაირამი თითქოს დაწესებულია იმის აღსანიშნავად, რომ ალაჰმა იბრაჰიმს (ბიბლიის აბრაამს) გამოუგზავნა სამოთხეში სპეციალურად გასუქებული ცხვარი იბრაჰიმის მიერ ისმაილის — (ბიბლიის ისაკის) დაკვლის მომენტში. ალაჰის ამ საჩუქრის ხსოვნისათვის მუსლიმანებს შორის დამკვიდრდა რელიგიური ჩვეულება შესწიროონ მსხვერპლი (ცხვარი, ძროხა, აქლემი) ყურბან-ბაირამის დღეს. ეს ჩვეულება სავალდებულოდ ითვლება იმ მუსლიმანებისათვისაც, რომლებიც მექაში არ იმყოფებიან. მსხვერპლად შეწირულ ცხოველთა ტყავი და ხორცის საუკეთესო ნაჭრები მათ მოლებს უნდა მისცენ.

ისლამის ის დღესასწაულებიც, რომელთა შესახებ არსებულ მოთხრობებში ისტორიული ამბებიცაა ჩაქსოვილი, ჩვეულებრივ თავის სარიტუალო ნაწილში არ არის ორიგინალური. ასეთია, მაგალითად, დღესასწაული, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „შახსეი-ვახსეი".

ისლამის პოლიტიკური როლი. ხალიფატი.

VII საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულიდან მოყოლებული, მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც ისლამი იყო გავრცელებული, არსებობდა ხალიფატი, ე. ი. ფეოდალურ-თეოკრატიული ძალაუფლება.

თავდაპირველად იგი წარმოიშვა ქ. მედინაში (არაბეთი) როგორც ფეოდალთა გაბატონებული ჯგუფის პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია, რომელთა რელიგიას ისლამი წარმოადგენდა. ხალიფი იყო რამდენიმე: ბაღდადში აბასიდების დინასტია, ეგვიპტეში — ფატიმიდების დინასტია და სხ.

აბასიდთა დინასტია, რომელმაც ხალიფატის ცენტრად ბაღდადი გახადა, მისი მონღოლების მიერ განადგურებამდე 1258 წ. ბატონობდა, დაიმორჩილა რა უზარმაზარი ტერიტორია გიბრალტარიდან ჩინეთის საზღვრებამდე. აბასიდების დროს არის დაწერილი პირველი თხზულებანი ისლამის წარმოშობაზე, შედგენილია გადმოცემათა პირველი კრებული (სუნა), რომელთაც ჩვენ დრომდე მოაღწიეს, დამუშავებულია შარიათი და საბოლოოდ ჩამოყალიბდა მოძღვრება „ალაჰის მოციქულის“ — მაჰმადის და მისი ნათესავების ღვთაებრიობის შესახებ.

იმავე ხანებში ხალიფთა ექსპლოატატორული ძალაუფლების კურთხევის მიზნით შეიქმნა ლეგენდა პირველი ოთხი ხალიფის „სიწმინდის“ შესახებ. დაიპყრეს რა ბაღდადი 1258 წელს, მონღოლთა ხანებმა თვითონ გამოაცხადეს თავი ხალიფებად. აბასიდები მხოლოდ ეგვიპტეში განაგრძობდნენ მართვას.

თურქთა სულთანმა სელიმ პირველმა 1516 — 17 წწ. ხელში ჩაიგდო ეგვიპტე, დაამხო ხალიფთა ეს დინასტია

და ხალიფის სახელწოდება თვითონ მიიკუთვნა. მას ამაში ხელი არ შეუშალა ისლამის მოძღვრებამ, რომ ხალიფი წარმოშობით აუცილებლად უნდა იყოს არაბთა კურეიშიტების ტომიდან. მუსლიმანური სასულიერო წოდება მაშინვე გადავიდა ძლიერის მხარეზე. თურქეთის ყველა შემდგომი სულთანი იმავე დროს იყო ხალიფი—ითვლებოდა მუსლიმანური რელიგიის მეთაურად. თურქეთის უკანასკნელი სულთანი — ხალიფი დამხობილ იქნა რესპუბლიკური თურქეთის დიდი ნაციონალური კრების დადგენილებით 1924 წ. 3 მარტს.

უდიდესი უფლებებით აღჭურვილი მუსლიმანური სასულიერო წოდების საქმიანობა ხალიფთა ბატონობის დროს მიმართული იყო ფეოდალური ექსპლოატაციის სხვადასხვა ფორმების გამართლებისაკენ. ხალიფთა ძალაუფლება, მათი განუსაზღვრელი ბატონობა ხალხის მასებისათვის მოასწავებდა მძიმე ჩაგვრას, უუფლებობას, უმეცრებასა და სიღატაკეს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სულთანის თურქეთი.

სჩაგრავდნენ რა თავის ქვეშევრდომებს, ხალიფები მდიდრულად და აღვირახსნილად სცხოვრობდნენ.

სხვადასხვა მიმდინარეობა და სექტები ისლამში.

ისლამი იყოფა მთელ რიგ მიმართულებებად, სექტებად და მოძღვრებებად. ამათგან სუნიტური მიმდინარეობის გვერდით (სუნა—წეს-ჩვეულება, გადმოცემა) ყველაზე გავრცელებულია შიიტური მიმდინარეობა.

სუნიტურ და შიიტურ მოძღვრებათა შორის განსხვავება ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ შიიტები უარყოფენ ხალიფებს როგორც უზურპატორებს. შიიტე-

ბი სცნობენ ხალიფებად, რომლებსაც უფლება აქვთ მუსლიმანების მბრძანებლად იყვნენ, მხოლოდ ხალიფ ალის ჩამომავლებს, რომელიც თითქოს „წინასწარმეტყველი“ მაჰმადის პირდაპირი ჩამომავალია.

შიიტობის ცენტრებად ითვლებიან მათი ლეგენდით „წმინდანი“ ქალაქები — ნედშეფი და ქერბელა (ირაკი). აქ მოთავსებულია შიიტებისაგან თაყვანსაცემი ხალიფ ალის და მისი უმცროსი შვილის ჰუსეინის აკლდამები. აქვე ცხოვრობენ შიიტური იერარქიის მაღალი თანამდებობის პირნი.

ოფიციალური სუნიტური ისლამის გვერდით **შიიტური** მიმართულების წარმოშობის საბაბი გახდა ხალიფატის პოლიტიკური პარტიების ბრძოლა.

შიიტთა ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ხალიფ ალის მომხრენი, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ „ომეიადთა სახლის“ ხალიფების გამეფებისა. ხალიფის ტახტისათვის შიიტთა პოლიტიკური ბრძოლის ერთერთი ეპიზოდი გახდა სწორედ თემად შახსეი-ვახსეის დღესასწაულის ასახსნელად. ეს ფაქტი ასეთია: ხალიფ ალის მოკვლის შემდეგ ხალიფის ტახტი დაიკავა „ომეიადთა სახლის“ წარმომადგენელმა მუავიამ. ამას არ ურიგდებოდნენ შიიტები, რომლებიც მოითხოვდნენ ხალიფ ალის ჩამომავალთა გამეფებას.

შიიტები ცდილობდნენ მოეწყოთ აჯანყება კუფასა და ბასრაში. ამ აჯანყების ხელმძღვანელობისათვის მექიდან პატარა რაზმით გაემგზავრა მოკლულ ხალიფ ალის უმცროსი შვილი — ჰუსეინი. ჰუსეინის რაზმს 680 წ. დამლევს დაბა ქერბელასთან ალყა შემოარტყეს მთავრობის ჯარებმა და სასტიკად დაამარცხეს იგი.

პოლიტიკური მოსაზრებებით შიიტებმა იწყეს ჰუსეი-

ნის მკვლელობის შესახებ არსებული ამ ამბის ფართოდ გამოყენება.

მუსლიმანი სასულიერო პირნი პოლიტიკური მოტივებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც მათ შემდეგში შემოიღეს ჰუსეინის გლოვის დღე მუსლიმანურ თვეში — მუხარემში. ამ სამგლოვიარო დღესასწაულის წესები ისლამმა გადმოიღო მცირე აზიის მცენარეულობის მომაკვდავი და მკვდრეთით აღმდგარი ღმერთების უძველესი კულტებიდან (თამუზი, ადონისი და სხვ.).

ამ დღესასწაულს განსაკუთრებით მავნე მნიშვნელობა აქვს მშრომელებისათვის. მუსლიმანი სასულიერო პირები, წინადადებას აძლევდნენ რა მორწმუნეთ ეწამებინათ თავი და სისხლი დაეღვარათ ჰუსეინის სიკვდილის ხსოვნისათვის, ცდილობდნენ და ცდილობენ გააღვივონ რელიგიური ფანატიზმი.

ისლამი მდიდრებს ანთავისუფლებს მოვალეობისაგან დაისახიჩრონ თავი დღესასწაულის დღეებში: მათ ნებადართული აქვთ დაიქირაონ ფულით შემცვლელი პირი — ღარიბი.

XVI საუკუნეში ისლამის შიიტური მიმართულება აღიარებულ იქნა ირანში რელიგიად.

არაბული კულტურა.

დაიპყრეს რა უზარმაზარი ტერიტორიები, არაბებმა დაპყრობილ ხალხთა ექსპლოატაციით შექმნეს იმ დროისათვის ყველაზე უფრო მდიდარი კულტურა. არაბებმა არაბულ ენაზე გადათარგმნეს და შეითვისეს საბერძნეთის და სხვა ძველ მოაზროვნეთა ძეგლები, რომელთაც მათ დრომდე მოაღწიეს, გაავითარეს მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, ფილოსოფია, ისტორია და

გეოგრაფია. დაარსდა უმაღლესი სკოლები, უზარმაზარი წიგნთსაცავები, საავადმყოფოები, ობსერვატორიები, განვითარდა ფოსტა. არაბთა ბევრმა ნაწარმოებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპის მეცნიერული აზრის განვითარებაზე. ძველ ფილოსოფოსთა მთელი რიგი ძეგლების, მათ რიცხვში არისტოტელეს თხზულებათა დაცვას კაცობრიობა არაბებს უნდა უმადლოდეს. ევროპის ხალხთა ენებში ბევრი არაბული სამეცნიერო და სავაჭრო ტერმინი შევიდა. ასეთია, მაგალითად, სიტყვები: ალგებრა, არსენალი, ბაზარი, ზენიტი, მაღაზია, ტარიფი, ციფრი და სხვ. მიუხედავად არაბული კულტურის დიდად განვითარებისა, ხალიფთა ფეოდალური ხელისუფლება დაუნდობლად აღრჩობდა თავისუფალ აზრს, ათეიზმს.

მუსლიმანური შუასაუკუნოებრიობის გაბატონებულ ლიტერატურას დიდხანს წარმოადგენდა რელიგიური რიტელატურა.

ბრძოლა ისლამის წინააღმდეგ

რამდენადაც ისლამი ხალიფატის სახელმწიფო რელიგია იყო, ყველაფერი მას უნდა შეგუებოდა. ხალხური ლიტერატურის ძეგლებსაც კი, რომლებიც ხშირად ისლამამდე წარმოიშვა, მუსლიმანური რედაქცია ეძლეოდა. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ცნობილი ზღაპრების „ათას ერთი ღამის“ მიმართ.

ასეთი მართლმორწმუნეობის მოთხოვნები მძიმე გავლენას ახდენდა ლიტერატურაზე. ზოგჯერ ღვთისმეტყველი ავტორებიც კი არ მალავდნენ ამას.

უარეს მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული ის მწერლები და მეცნიერები, რომლებიც უარყოფდნენ ღმერ-

თის, ანგელოზების, ეშმაკების, სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობას. მათ არ შეეძლოთ აშკარად ელაპარაკნათ თავის ათეისტურ რწმენაზე: ამისათვის სიკვდილით სჯიდნენ. იძულებული იყვნენ ნათელი და მარტივი აზრი დაეძახინჯეიხათ, შეხილბული ფორმით მოეცათ. თავისუფალ-მოაზროვნეთა რიცხვს, რომლებიც იძულებული იყვნენ დაემალათ თავისი შეხედულება, განსხვავებული ოფიციალური მუსლიმანური დოგმისაგან, ეკუთვნოდნენ ისეთი გამოჩენილი მოაზროვნენი, როგორიც არრიახ აბუ-ლ-ალა, ალ-ძა-არი, იბნ-ტუფეილი, იბნ-რუშდი (ავეროესი), იბნ-ხალდუნი და სხვები.

აბუ-ლ-ალა, პოეტი და ფილოსოფოსი, ცხოვრობდა 11 საუკუნეში. მან დასწერა მთელი რიგი ფილოსოფიური თხზულებანი, რომლებშიც დასცინოდა მუსლიმანურ სარწმუნოებას. მაგალითად, თავის „ეპისტოლეში ანგელოზების შესახებ“ აბუ-ლ-ალა დასცინის მუსლიმანურ წარმოდგენას საიქიო ცხოვრებაზე, სამოთხეზე. იგი აცხადებს, რომ სამუდამოდ გასწყვიტა კავშირი რელიგიასთან და ქადაგება დაუთმო ნაფიც მქადაგებლებსა და მოლებს.

XII საუკუნის ცნობილმა არაბ-ესპანელმა ფილოსოფოსმა და მწერალმა იბნ-ტუფეილმა თავის ფილოსოფიურ რომანში „ფხიზელის ცოცხალი შვილი“, წინააღმდეგ რელიგიური წარმოდგენისა ღმერთის მიერ ყოველივე ცოცხალის შექმნაზე, განავითარა თვითჩასახვის, ე. ი. არაცოცხალი ბუნებიდან ცოცხალი ორგანიზმების შექმნის იდეა.

იბნ-რუშდის (ავეროესი, 12—13 საუკ.) აზრით ადამიანთა ტომი მარადიული და წარუვალია. საიქიო ცხოვრების, ჯოჯოხეთის, სამოთხისა და სხვა ამბები — მხოლოდ არაკებია. სულის უკვდავება — ქიმერაა.

თავისუფალი აზროვნებისა და ათეიზმისათვის ავეროესს სდევნიდნენ მუსლიმანი სასულიერო პირები. მოხუცებულობაში მას დააბრალეს ფილოსოფიური ერეტიკობა, ათეიზმი და რელიგიისადმი უპატივცემლობა და დაუწყეს დევნა.

ისლამი კაპიტალიზმის სამსახურში

ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიებში იმპერიალიზმის ეპოქაში ზოგჯერ რელიგიურ, განსაკუთრებით სექტანტურ ელფერს ღებულობდა. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი, რომელნიც ისლამის დროშით მიდიოდენ, იყვნენ მასობრივი ანტიიმპერიალისტური მოძრაობანი, მაგრამ ჩვეულებრივ ექსპლოატატორული კლასები და მოლები ამ მოძრაობას თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის იყენებდნენ. ჩვეულებრივ ამ სექტების ხელმძღვანელები უთანხმდებოდნენ უცხოელ იმპერიალისტებს.

ისლამის გამოყენება იმპერიალისტების მიერ

მუსლიმანი სასულიერო პირები კოლონიებში წარმოადგენენ იმპერიალიზმის დასაყრდენს.

1914-1919 წწ. იმპერიალისტური ომის დროს მუსლიმანი სასულიერო პირები გამოვიდნენ ორივე მებრძოლი იმპერიალისტური ჯგუფის მხარეზე. თურქეთში მყოფი მოლები მოუწოდებდნენ ებრძოლნათ გერმანიის მხარეზე. გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მეორე, — ამბობდნენ ისინი,—„წინასწარმეტყველი მაჰმადის დის ჩამომავალიაო“, „გერმანელები ისლამის მეგობრები არიანო“ და ა. შ. მეფის რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის კო-

ლონიებში მყოფი მოლები კი საწინააღმდეგოს ჰქადაგებდნენ.

ინდოეთში სრულიად-ინდოეთის მუსლიმანური კავშირის თავჯდომარემ და ისმაილიტთა სექტის „ცოცხალმა ღმერთმა“ აღა-ხანმა 1916 წელს გამოუშვა მოწოდება „მუსლიმანებისადმი“, რომელშიც მოუწოდებდა მათ ეომნათ გერმანიისა და თურქეთის წინააღმდეგ ანტანტის მხარეზე. არაბეთში ინგლისის იმპერიალიზმი, აწარმოებდა რა ომს თურქეთის წინააღმდეგ, ისლამური აგიტაციის საშუალებით აღვივებდა არაბთა მტრობას თურქეთისადმი.

პანისლამიზმი.

ბურჟუაზია, ფეოდალური ელემენტები და სამღვდელოება იმ ქვეყნებში, სადაც ისლამია გავრცელებული, ქადაგებენ რეაქციულ მოძღვრებას ყველა იმათი ერთობის შესახებ, ვინც ისლამს აღიარებს. ეს მოძღვრება ცნობილია პანისლამიზმის სახელწოდებით.

ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები თავისი მტაცებლური მიზნებისათვის სარგებლობდნენ და სარგებლობენ პანისლამიზმით. მეფის რუსეთმაც თავის დროზე ძლიერ გამოიყენა პანისლამიზმი. ასე იქცეოდნენ იმ მიზნით, რომ ჩამოეგდოთ შუღლი სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების მშრომელებს შორის, აემხედრებინათ ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ, ჩამოეშორებინათ მათი ყურადღება კლასობრივი ბრძოლისაგან. პანისლამისტურ პროპაგანდას იყენებენ სოციალიზმის მტრები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

თავისუფალი აზროვნებისა და ათეიზმისათვის ევროპასს სდევნიდნენ მუსლიმანი სასულიერო პირები. მონუცებულობაში მას დააბრალეს ფილოსოფიური ერეტიკობა, ათეიზმი და რელიგიისადმი უპატივცემლობა და დაუწყეს დევნა.

ისლამი კაპიტალიზმის სამსახურში

ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიებში იმპერიალიზმის ეპოქაში ზოგჯერ რელიგიურ, განსაკუთრებით სექტანტურ ელფერს ღებულობდა. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი, რომელნიც ისლამის დროშით მიდიოდენ, იყვნენ მასობრივი ანტიიმპერიალისტური მოძრაობანი, მაგრამ ჩვეულებრივ ექსპლოატატორული კლასები და მოლები ამ მოძრაობას თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის იყენებდნენ. ჩვეულებრივ ამ სექტების ხელმძღვანელები უთანხმდებოდნენ უცხოელ იმპერიალისტებს.

ისლამის გამოყენება იმპერიალისტების მიერ.

მუსლიმანი სასულიერო პირები კოლონიებში წარმოადგენენ იმპერიალიზმის დასაყრდენს.

1914-1919 წწ. იმპერიალისტური ომის დროს მუსლიმანი სასულიერო პირები გამოვიდნენ ორივე მებრძოლი იმპერიალისტური ჯგუფის მხარეზე. თურქეთში მყოფი მოლები მოუწოდებდნენ ებრძოლნათ გერმანიის მხარეზე. გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მეორე, — ამბობდნენ ისინი,—„წინასწარმეტყველი მაჰმადის დის ჩამომავალიაო“, „გერმანელები ისლამის მეგობრები არიანო“ და ა. შ. მეფის რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის კო-

ლონიებში მყოფი მოლები კი საწინააღმდეგოს ჰქადაგებდნენ.

ინდოეთში სრულიად-ინდოეთის მუსლიმანური კავშირის თავჯდომარემ და ისმაილიტთა სექტის „ცოცხალმა ღმერთმა“ აღა-ხანმა 1916 წელს გამოუშვა მოწოდება „მუსლიმანებისადმი“, რომელშიც მოუწოდებდა მათ ეომნათ გერმანიისა და თურქეთის წინააღმდეგ ანტანტის მხარეზე. არაბეთში ინგლისის იმპერიალიზმი, აწარმოებდა რა ომს თურქეთის წინააღმდეგ, ისლამური აგიტაციის საშუალებით აღვივებდა არაბთა მტრობას თურქეთისადმი.

პანისლამიზმი.

ბურჟუაზია, ფეოდალური ელემენტები და სამღვდელოება იმ ქვეყნებში, სადაც ისლამია გავრცელებული, ქადაგებენ რეაქციულ მოძღვრებას ყველა იმათი ერთობის შესახებ, ვინც ისლამს აღიარებს. ეს მოძღვრება ცნობილია პანისლამიზმის სახელწოდებით.

ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები თავისი მტაცებლური მიზნებისათვის სარგებლობდნენ და სარგებლობენ პანისლამიზმით. მეფის რუსეთმაც თავის დროზე ძლიერ გამოიყენა პანისლამიზმი. ასე იქცეოდნენ იმ მიზნით, რომ ჩამოეგდოთ შუღლი სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების მშრომელებს შორის, აემხედრებინათ ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ, ჩამოეშორებინათ მათი ყურადღება კლასობრივი ბრძოლისაგან. პანისლამისტურ პროპაგანდას იყენებენ სოციალიზმის მტრები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ისლამი — ნაციონალური შულლისა და იმპერიალისტური აგრესიის გალვივების იარაღია.

ისლამში არის მოძღვრება „საღვთო ომზე სარწმუნოებისათვის“ (ჰაზავატი). „ყურანს და მასზე დამყარებულ მუსლიმანურ კანონმდებლობას, — სწერდა ისლამის ამ მოძღვრების შესახებ კ. მარქსი, — მთელი მსოფლიოს ხალხთა გეოგრაფია და ეთნოგრაფია დაჰყავს ორ ნახევრად — მართლმორწმუნებად და ურჯულოებად დაყოფის უბრალო და მოხერხებულ ფორმულამდე: ურჯულო — ეს არის „გიაური“, ეს არის მტერი. ისლამი შეაჩვენებს ურჯულოთა ერს და ქმნის განუწყვეტელი მტრობის მდგომარეობას მუსლიმანებსა და ურჯულოებს შორის“ [1].

ისლამის ამ მოძღვრებას მუსლიმან სასულიერო პირთა აქტიური დახმარებით იმპერიალისტები იყენებენ იმ მიზნით, რომ ჩამოაშორონ მშრომელთა ყურადღება კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს და ჩაშალონ მსოფლიოს ყველა დაჩაგრული ხალხის ანტიიმპერიალისტური ფრონტის ერთიანობა.

ინდოეთში სხვადასხვა რელიგიის სასულიერო პირნი ბრიტანეთის იმპერიალიზმის ინტერესებისათვის აღვივებენ ურთიერთ შულლს ინდოელ-მუსლიმანებსა და ბრახმანისტ, ბუდეველ და სხვ. ინდოელებს შორის. უკანასკნელი ასეთი პროვოკაცია, რომელმაც მრავალი ასეული ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მოეწყო ბომბეიში 1936 წ. ოქტომბერში. ასეთ პროვოკაციებს აწყობენ სხვა ადგილებშიც, სადაც ისლამი არის გავრცელებული: პალესტინაში, ჩინეთში, ტუნისში. 1935 წელს, იტალიელი ფაშისტები, რომელთაც მოისყიდეს იერუსალიმის დიდი

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. X გვ. 6

მუფტი ამინ ალ-ჰუსეინი და მთელი რიგი სხვა გამოჩენილი მუსლიმანი ხუცები, ცდილობდნენ გამოეყენებინათ ისლამის მოძღვრება „საღვთო ომზე სარწმუნოებისათვის“ აბისინიის დამონების მიზნით. ხელმძღვანელობდნენ რა იმ გარემოებით, რომ აბისინიის ზოგიერთ რაიონში ბევრი მუსლიმანია, იერუსალიმის და სხვა მუსლიმანი ხუცები იტალიის ინტერესებისათვის ეწეოდნენ აგიტაციას აბისინიის ქრისტიანული მთავრობის წინააღმდეგ მუსლიმანთა ომის სასარგებლოდ.

ინგლისი და იაპონია იყენებენ პანისლამიზმს, ისწრაფვიან რა მოსწყვიტონ სინძიანის პროვინცია ჩინეთს და გადააქციონ იგი ანტისაბჭოთა პლაცდარმად.

იაპონიის იმპერიალისტური მიზნებისათვის ამჟამად ყურანი ითარგმნება იაპონურ ენაზე.

ეგვიპტეში, 1935 წელს, მუსლიმანური ღვთისმეტყველების უმაღლეს სკოლაში, ალ-აზხარეში, მოეწყო ფაშისტური გერმანიის მომხრეთა ჯგუფი. საფრანგეთის კოლონიებში მოლები ყოველნაირად ქადაგებენ, რომ „საფრანგეთი და ისლამი გონებისა და გულის უკვდავ კავშირს წარმოადგენენო“.

მუსლიმან სასულიერო პირთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ხელს უწყობდნენ ფაშისტურ ამბოხებას ესპანეთში.

პრესის ცნობებით, „გერმანიის პროპაგანდის სამინისტრომ“ ესპანეთისა და საფრანგეთის მაროკოში შექმნა მუსლიმანური ორგანიზაცია, რომლის ორგანოც ქალაქ ფეცში (საფრანგეთის მაროკო) გამოდის გერმანიის ფულით.

ფაშისტურ მუსლიმანურ ორგანიზაციებს აფინანსებს ფაშისტური გერმანია.

თუ როგორ იყენებენ იმპერიალისტები ისლამს თავი-

სი კოლონიური მძარცველური პოლიტიკისათვის, ამას მოწმობს იტალიის პოლიტიკა აფრიკაში. ცდილობს რა აფრიკის ხალხთა დამონებას, იტალიის იმპერიალიზმი უცებ გაიმსჭვალა არაჩვეულებრივი სიყვარულით ისლამისადმი. ცნობილია, რომ მუსოლინიმ, იტალიის ფაშისტთა მეთაურმა, კონკორდატი დასდო რომის პაპთან და თავს კათოლიციზმის დამცველად სთვლის. მაგრამ აი 1937 წ. მარტში იტალიის აფრიკულ კოლონიაში — ლიბიაში — გამგზავრების დროს მუსოლინიმ თავი გამოაცხადა ისლამის დამცველად. იტალიელი მოხელენი — კათოლიკეები — ლიბიაში აშენებენ მუსლიმანურ მეჩითებს, ყოველნაირად უჭერენ მხარს სასულიერო პირთ და რელიგიურ ორგანიზაციებს, ხედავენ რა მათში თავისი დაპყრობითი პოლიტიკის იარაღს აფრიკაში, სადაც სულ მცირე 50 მილიონი მუსლიმანი ცხოვრობს. სწორედ ამიტომ გამოაცხადა თავი კათოლიკე მუსოლინიმ „ისლამის მახვილად“.

მუსლიმან სამღვდელოების დამოკიდებულება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი.

მუსლიმანი სასულიერო პირნი ცარიზმის სამსახურში

რუსეთში რევოლუციამდე მუსლიმანი სასულიერო პირები თვითმპყრობელობას ემსახურებოდნენ. უფაში 1788 წ., სიმფეროპოლში 1831 წ. და ტფილისში 1872 წ. მეფის მთავრობამ დაარსა სპეციალური მაჰმადიანური სასულიერო კრებები და სამმართველოები „მაჰმადიანური სარწმუნოების პირთა გამგებლობისათვის“. ამ დაწე-

სებულებათა როლი იყო ჟანდარმული. მათ სათავეში დაყენებული მუფტები (ხარისხი, რომელიც ქრისტიანულ მიტროპოლიტს უდრის) და მოლები ღალატობდნენ მშრომელთა ინტერესებს.

XIX საუკუნეში ცარიზმმა კავკასიაში მუსლიმანი სასულიერო პირები გამოიყენა მთიელთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი და ანტიფეოდალური მოძრაობის გამცემლებად. მეფის მთავრობისადმი მთიელთა დამორჩილების მიზნით კავკასიაში მოქმედებდა მოლა ტაზადინ ხუსტაფინი. თავისი ჯაშუშური საქმიანობისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა მუფტის და შეიხ-ულ-ისლამის საეკლესიო ტიტულით, კაპიტნის ჩინით და ფულით.

1854 წელს ყირიმის მუსლიმან სასულიერო პირთა მეიაური და მისი უახლოესი თანამშრომლები ცარიზმის სასარგებლოდ მოითხოვდნენ ცარიზმით უკმაყოფილო ყირიმელ თათართა მასობრივად დახვრეტას. ამასთან მუფტიმ შეადგინა მოწოდება „მთელი მუსლიმანური სასულიერო წოდებისა და ხალხისადმი“, რომელშიც მუფტი მოითხოვდა ყველა მუსლიმანისაგან სრულ და უსიტყვო მორჩილებას „მეფისა და სამშობლოსადმი“. ნიკოლოზ პირველმა, წაიკითხა რა ეს მოწოდება, მუფტის გამოუცხადა „განსაკუთრებული მეფური მადლობა“.

ყოფ. ყაზანის გუბერნიის თათარ გლეხთა აჯანყების დროს 1878 წელს მოლები გამოვიდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტების მხარეზე. „მაჰმადიანი სასულიერო პირები არ არიან გარეული არეულობაში, ერთგულად და კეთილგონივრულად მოქმედებდნენ, თითონ მოლები მიუთითებდნენ არეულობის წამქეზებლებზე“ — ასეთ დეპეშას გზავნიდა ჟანდარმერიის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი ჟიტკოვი მოლების გამცემლურ როლზე ამ აჯანყებაში.

1905 წ. რევოლუციაში მოლები გამოვიდნენ ერთიანი ფრონტით რუს შავრაზმელებთან.

1914-18 წწ. იმპერიალისტური ომის დროს ზურგშიაც და ფრონტზედაც მუსლიმანი სასულიერო პირები გამოდიოდნენ თვითმპყრობელობის დასაცავად. 1916 წ. შუა აზიის ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი აჯანყების დროს მოლები გამოდიოდნენ რუსი და ადგილობრივი ექსპლოატატორების მხარეზე.

ისლამი — კონტრრევოლუციის იარაღია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში

დიდი პროლეტარული სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე რუსეთში ისლამის რელიგიური ორგანიზაციები გამოვიდნენ როგორც საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები.

მოლები კოლჩაკელთა დავალებით აგროვებდნენ მორწმუნე მუსლიმანებს თეთრი არმიისათვის. კოლჩაკს ჰყავდა სპეციალური მუსლიმანური ნაწილები. ყოფ. ყაზანის გუბერნიის ტერიტორიაზე მოლების დახმარებით შეიქმნა თეთრგვარდიელთა „მაჰმადის პოლკი". პოლონეთშიც მოეწყო „მუსლიმანური პოლკი", რომელიც თეთრპოლონელთა მხარეზე იბრძოდა.

ყირიმში კონტრრევოლუციური მთავრობის მეთაურად იყო მშრომელთა მოსისხლე მტერი მუფთი ჩელებჯან ჩელებიევი.

კონტრრევოლუცია დაღესტანში თავის მოქმედებას რელიგიური ლოზუნგებით ჰფარავდა. აქ თეოკრატიული

სახელმწიფოც კი შეიქმნა სასულიერო პირის იმამის უზუნ-ხაჯის მეთაურობით.

ლოზუნგი „ალაჰისათვის — შარიათისათვის“ ჰფარავდა კონტრრევოლუციას შუა აზიაშიც.

მოლებისა და მდიდრების კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას „ულემს“, რომელიც შეიქმნა ტაშკენტში 1917 წელს, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ინტერვენტებთან (ინგლისის სამხედრო მისია) და თეთრგვარდიელებთან. მუსლიმანური სასულიერო წოდება მთლიანად უჭერდა მხარს კონტრრევოლუციონურ ბასმაჩებს.

კონტრრევოლუციონერები აშხაბადში 1919 წ. დასაწყისს, ინგლისის სარდლობის რჩევით, ქმნიდნენ „განსაკუთრებულ საიდუმლო ორგანოს სპეციალურად ბოლშევიკებთან საბრძოლველად“, იყენებდნენ მუსლიმან სექტანტებს — ბეხაიტებს.

სოციალისტური მშენებლობა და ისლამის რეაქციული როლი.

მუსლიმან სასულიერო პირთა პოლიტიკა საბჭოთა კავშირში ნაკლებად განირჩევა სხვა რელიგიების სასულიერო პირთა პოლიტიკისაგან. მათი საქმიანობა სოციალიზმის წინააღმდეგაა მიმართული.

უკანასკნელი წლების მანძილზე აღმოჩენილ კონტრრევოლუციურ ჯგუფებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მუსლიმანური კულტის მსახურნი. კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯგუფები თათართა რესპუბლიკისა და ყირიმში საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ და ბურჟუაზიული წყობილების დამყარებისათვის საბრძოლველად ფართოდ

იყენებდნენ ისლამის მოძღვრებას. ისლამის რელიგიურ ორგანიზაციებს თავის კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ყოველმხრივად მხარს უჭერდნენ ხალხის მტრები — კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები და აქა-იქ საბჭოთა აპარატში მოკალათებული ბურჟუაზიული ნაციონალისტები.

მოლებმა, ისე როგორც სხვა რელიგიების სასულიერო პირებმა, გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე. იცავდნენ რა კულაკებსა და ბაებს, მოლები საკოლმეურნეო მშენებლობას აცხადებდნენ „ეშმაკის ოინებად".

მუსლიმანი სასულიერო პირები თავის კონტრრევოლუციურ ანტისაბჭოთა საქმიანობაში ცდილობენ დაეყრდნონ ქალის დამმონებელ ჩვეულებებს. ისინი ცდილობენ გამოიყენონ თავისი რელიგიური გავლენა ქალებზე.

სსრ კავშირის სოციალისტური მშენებლობის დიადმა გამარჯვებებმა, რომლებიც განმტკიცებულია ჩვენი დროის დიად დოკუმენტში — სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციაში, განსაზღვრეს უღმერთობის წარმატებანიც.

სსრ კავშირის ყველა ნაციონალურმა რესპუბლიკამ და ოლქმა ლენინურ-სტალინური პოლიტიკის გატარების საფუძველზე მიაღწია უდიდეს წარმატებებს. სსრ კავშირი — მრავალრიცხოვან ნაციონალურ ჯგუფთა და ხალხთა ძმობის აყვავებული ბაღია. მეფის რუსეთის ყოფილი კოლონიები გადაიქცნენ მსხვილ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ ცენტრებად. გაიფურჩქნა ნაციონალური კულტურები, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური. ყოველივე ეს გავლენას ახ-

დენს მშრომელთა დამოკიდებულებაზედაც რელიგიისადმი. იქ, სადაც მოლების ბნელი ძალაუფლება განსაკუთრებით დიდი იყო, მშრომელები შორდებიან რელიგიას, უარს ამბობენ სასულიერო პირების, ეკლესიების, მეჩითების შენახვაზე, სარწმუნოებრივი წესჩვეულებების შესრულებაზე, მარხვისა და რელიგიური დღესასწაულების დაცვაზე. აღმოსავლეთის ქალი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მაგრამ ისლამს ჯერ კიდევ ცოტა მშრომელი როდი ჰყავს თავის კლანჭებში. მუსლიმანური რელიგია ჯერ კიდევ საგებლობს გავლენით და ამ გავლენას იყენებს სოციალიზმის საზიანოდ. კულაკური ელემენტები ისლამს იყენებენ კოლმეურნეობათა წინააღმდეგ, ქალის მონობისაგან განთავისუფლების წინააღმდეგ, ხალხთა ძმობის — სსრ კავშირის განმტკიცების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარეობს ამოცანა — სისტემატურად ვაწარმოოთ ანტირელიგიური აგიტაცია და პროპაგანდა ყოველგვარი რელიგიის წინააღმდეგ, კერძოდ ისლამის წინააღმდეგ.

ლიტერატურა

კ. **მარქსი** — კომუნისტური მანიფესტი.

ვ. ი. **ლენინი** — იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია. ტ. XIX, გვ. 77 — 209, საქპარტგამომცემლობა, 1936 წ.

ი. **სტალინი** — საუბარი როი ჰოვარდთან. საქპარტგამომცემლობა, 1936 წ.

ი. **სტალინი** — მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი. საქპარტგამომცემლობა, 1935 წ. გვ. 39.

ი. **სტალინი** — ლენინიზმის საკითხები, გვ. 2 — 4, 23 — 24, 205 — 206, 25 — 35, 48 — 52, 102 — 110,

122, 128, 168 — 169. 206 248. 643. თარგმანი მე-10 რუს. გამოცემიდან, საქპარტგამომცემლობა, 1935 წ.

გ. დიმიტროვი. — მოხსენება კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესზე. საქპარტგამომცემლობა, 1935 წ.

ემ. იაროსლავსკი. — რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ. ტ. II, ნაწ. III.

ი. იანსენი. — ათეისტური მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. სახელმწ. ანტირელ. გამომც. 1936 წ.

პ. ლაფარგი. — ღმერთი და კაპიტალი. სახელმწ. ანტირელ. გამომც. 1937 წ.

მ. შეინმანი. — თანამედროვე რელიგიების პოლიტიკური როლი. გამოც. „ბეზბოჟნიკ". 1929 წ.

მ. შეინმანი. — ღმერთი და კაპიტალი.

მ. შეინმანი. — ეკლესიის როლი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფაშიზაციაში. ჟურ. „ანტირეგიოზნიკი", № 10, 1930 წ.

ე. კიროვინი. — კათოლიციზმი როგორც ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკა. სოცეკ. გაზ. 1931 წ.

ი. ელვინი. — იტალია-აბისინიის ომი და ვატიკანი. ჟურ. „ანტირელიგიოზნიკი" № 2, 1937 წ.

ი. ელვინი. — სამღვდელოება გესტაპოს სამსახურში. „ანტირელიგიოზნიკი", № 2, 1937 წ.

ი. ელვინი. — სახალხო ფრონტი ესპანეთში და ეკლესია. „ანტირელიგიოზნიკი", № 3, 1937 წ.

ი. ელვინი. — სამხედრო-ფაშისტური ამბოხება ესპანეთში და ეკლესია. ჟურ. „ანტირელიგიოზნიკი", № 2, 1936 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ისლამის წარმოშობა 3
ყურანი 6
ბოძღვრება სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ . 8
არამეცნიერული წარმოდგენა სამყაროს წარმოშობაზე 10
ისლამის მარხვანი და დღესასწაულები. . . . 11
ისლამის პოლიტიკური როლი 14
სხვადასხვა მიმდინარეობა და სექტები ისლამში . 15
არაბული კულტურა 17
ბრძოლა ისლამის წინააღმდეგ 18
ისლამის გამოყენება იმპერიალისტების მიერ . . 20
პანისლამიზმი 21
ისლამი — ნაციონალური შუღლისა და იმპერიალისტური აგრესიის გაღვივების იარაღია . . 22
მუსლიმან სამღვდელოების დამოკიდებულება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი . 24
ისლამი—კონტრრევოლუციის იარაღია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში 26
სოციალისტური მშენებლობა და ისლამის რეაქციული როლი 27
ლიტერატურა 29

პას. მგ. რედაქტორი ს. სახაროვი
მთარგმნელი შ. ღოღობერიძე
ტექ. რედაქტორ—კორექტორი ი. ხინკელი
გადაცემულია წარმოებაში 15/XI 37 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/XII-37
მთავლიტ. ოწმ. №ე-31165 შეკვეთა № 1941, ტირაჟი 3150,
წიგნის ზომა 5×8

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამომცემლობის სტ. ორჯონიკიძის ქ. № 50

ფასი 60 კაპ.

ПРОИСХОЖДЕНИЕ ИСЛАМА

Центральный совет Воинствующих
безбожников Грузии. 1937 г.